



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი(ებ): 30.04.2026

დასკვნის წარდგენის თარიღი: 21.07.2026

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	17
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	23
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	25
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	30

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205304357
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია დადელიშვილი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სპორტის მენეჯმენტი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Sport Management
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სპორტის მენეჯმენტის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413.2.5 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტაცია 2031 წლის 20 მარტამდე, 1 (ერთი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების პირობით გადაწყვეტილება №391458, 2024 წლის 3 აპრილი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

საბაკალავრო პროგრამა 2021/2022 სასწავლო წლიდან მოქმედებს. სამაგისტრო პროგრამამ ფუნქციონირება 2014 წელს დაიწყო ავტორიზებულ რეჟიმში და განახლდა 2022 - 2023 სასწავლო წელს. საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა „სპორტის მენეჯმენტი“ დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 12 სექტემბერს (ოქმი N13). პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე, თბილისში, ორ მისამართზე — ვაჟა-ფშაველას გამზ. 76ბ და ე. ნინოშვილის ქ. N55.

პროგრამა მიეკუთვნება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს (მაგისტრატურა), ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს და 0413.2.5 კოდს. პროგრამის დასრულების შემდეგ მინიჭებული კვალიფიკაციაა „სპორტის მენეჯმენტის მაგისტრი“.

პროგრამის მოცულობაა 120 ECTS კრედიტი, ხანგრძლივობა — 2 სასწავლო წელი, 4 სემესტრი. სასწავლო წელი სემესტრული პრინციპით არის აგებული და ერთი სემესტრი 19 სასწავლო კვირას მოიცავს. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის დროს.

კრედიტების განაწილება პროგრამის სტრუქტურის მიხედვით შემდეგნაირია: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები — 75 კრედიტი, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები — 15 კრედიტი, პრაქტიკის კომპონენტი — 10 კრედიტი და კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) — 20 კრედიტი. პროგრამას სრული დატვირთვის შემთხვევაში შეუძლია მოემსახუროს 50 სტუდენტს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის ონლაინ ვიზიტი ჩატარდა 2026 წლის 30 აპრილს და მოიცავდა ინტერვიუებს ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა პირველი, მეორე სტანდარტი და მეხუთე სტანდარტის 5.1 კომპონენტი.

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: არ შეფასდა

სტანდარტი 4: არ შეფასდა

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ რეკომენდაციები

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის გადახედვა და გაუმჯობესება როგორც სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართების სიზუსტის, ასევე „გაცნობა — გაღრმავება — განმტკიცება“ პრინციპის ლოგიკური გამოყენების თვალსაზრისით.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამამ გადახედოს სასწავლო კურსების თანმიმდევრობას, რათა უფრო მკაფიოდ აისახოს აკადემიური პროგრესიის ლოგიკა — ზოგადიდან სპეციალიზებული და შემდეგ სტრატეგიული კომპეტენციების განვითარების მიმართულებით. კერძოდ, მიზანშეწონილია კურსი „თანამედროვე სპორტის მენეჯმენტი“ წინ უსწრებდეს კურსს „სპორტული ობიექტების სტრატეგიული მენეჯმენტი“, რადგან სპორტის მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციებისა და დარგობრივი სპეციფიკის გააზრება წარმოადგენს საფუძველს სპორტული ორგანიზაციებისა და ობიექტების სტრატეგიული მართვის საკითხების სიღრმისეული შესწავლისათვის.
- სასურველია, გაფართოვდეს პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი და მეტად იყოს ორიენტირებული ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე ფუნქციურ და პრაქტიკულ მიმართულებებზე, რათა სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა სპორტის მენეჯმენტის სფეროში მოთხოვნად მენეჯერულ, ფინანსურ, ოპერაციულ და ანალიტიკურ კომპეტენციებში.
- სასურველია, გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესის მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ნაშრომის ინსტრუქციით განსაზღვრული მოთხოვნების თანმიმდევრული და ეფექტიანი შესრულება.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე
 - უსდ-მ წარმოადგინა არგუმენტირებული პასუხი, რომელშიც იზიარებს ექსპერტების მიერ დაფიქსირებულ ყველა რეკომენდაციასა და რჩევას.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია კონკრეტულად და ორიენტირებულია სპორტის ინდუსტრიისათვის კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს განუვითაროს სპორტის მენეჯმენტისა და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში თეორიული ცოდნა, პრაქტიკული და კვლევითი უნარები, ლიდერული და ანალიტიკური კომპეტენციები, რაც უზრუნველყოფს მათ წარმატებულ საქმიანობას როგორც კერძო, ისე საჯარო და საზოგადოებრივ სექტორში. მიზნები შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურის მოთხოვნებს და ორიენტირებულია როგორც პროფესიულ განვითარებაზე, ისე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობაზე დოქტორანტურაში.

პროგრამის სტრუქტურა და სემესტრული განაწილება რეალისტური და აკადემიურად გამართულია. პროგრამა თანმიმდევრულად აერთიანებს მენეჯმენტის, ეკონომიკის, ფინანსების, მარკეტინგის, სამართლისა და სპორტის ინდუსტრიის სპეციფიკურ მიმართულებებს. სასწავლო გეგმა ლოგიკურად არის აგებული — საფუძვლიანი მენეჯერული და კვლევითი კომპეტენციებიდან სპეციალიზებულ სპორტის მენეჯმენტის კურსებამდე, როგორცაა სპორტული ღონისძიებების სტრატეგიული მენეჯმენტი, სპორტული ობიექტების მართვა, სპორტის პოლიტიკა და განვითარება. პროგრამაში თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ბალანსი დაცულია, რასაც დამატებით აძლიერებს პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტები.

პროგრამის სწავლის შედეგები ფარავს ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის კომპონენტებს. შედეგები მოიცავს სპორტის ინდუსტრიის პრობლემების ანალიზსა და ბიზნეს-მოდელის შემუშავებას, ეკონომიკური და ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებას, სამართლებრივი და ეთიკური ნორმების დაცვას, ადამიანური რესურსებისა და მარკეტინგული სტრატეგიების მართვას, სპორტული ღონისძიებებისა და ობიექტების ეფექტიან ადმინისტრირებას, ასევე დამოუკიდებელი კვლევითი პროექტის განხორციელებას. სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული სასწავლო კურსებთან, ხოლო სწავლის შედეგების რუკა ნათლად აჩვენებს თითოეული კურსის როლს კონკრეტული კომპეტენციების ფორმირებაში.

პროგრამა მნიშვნელოვნად ასახავს სპორტის სფეროსა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს. პოზიტიურია კავშირი სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებთან, საერთაშორისო ტენდენციებთან და უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებასთან. პროგრამის ძლიერი მხარეა პრაქტიკული კომპონენტი — სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სტაჟირება გაიარონ სპორტულ ფედერაციებში, ასოციაციებში და სპორტულ ორგანიზაციებში, რაც ხელს უწყობს პროფესიული

უნარების განვითარებას და დასაქმების შესაძლებლობების ზრდას. პროგრამა ასევე შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას — სპორტის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სპორტული ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობას საქართველოში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მინიჭებულ კვალიფიკაციასა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონეს. პროგრამაში წარმოდგენილია 9 სწავლის შედეგი, რომლებიც მოიცავს ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის/ავტონომიურობის კომპონენტებს და ორიენტირებულია სპორტის ინდუსტრიაში მენეჯერული, კვლევითი, ანალიტიკური და პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებაზე.

სწავლის შედეგები ფორმულირებულია მაგისტრატურის საფეხურისათვის შესაბამისი ზმნებით — „ანალიზებს“, „აფასებს“, „შეიმუშავებს“, „ახორციელებს“, „ფლობს“, „დამოუკიდებლად ასრულებს“, რაც შეესაბამება ბლუმის ტაქსონომიის ანალიზის, სინთეზისა და შეფასების დონეებს. შედეგები ლოგიკურად უკავშირდება სპორტის მენეჯმენტის თანამედროვე სფეროს და ასახავს როგორც სტრატეგიული მართვის, ისე კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო კომპეტენციებს.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა (დანართი N3) ნათლად აჩვენებს, რომ ყველა 9 სწავლის შედეგი პროგრამის მიზნებთან არის დაკავშირებული. ამასთან, სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა ასახავს კავშირს 14 სავალდებულო სასწავლო კურსს, პრაქტიკის კომპონენტსა და სამაგისტრო ნაშრომსა და სწავლის შედეგებს შორის. რუკაში გამოყენებულია პროგრესიის პრინციპი — 1 (გაცნობა), 2 (გაღრმავება), 3 (განმტკიცება), რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეტაპობრივ განვითარებას და მიღწევადობას.

სწავლის შედეგები გაზომვადია და მათი შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით. პროგრამაში გამოყენებულია შუალედური და დასკვნითი შეფასება, პრეზენტაციები, კვლევითი დავალებები, პრაქტიკის მენტორის შეფასება და სტუდენტის თვითშეფასება. თითოეულ შედეგს განსაზღვრული აქვს შესაბამისი სამიზნე ნიშნული (60%-80%), ხოლო წარმოდგენილი მონაცემებით სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლები დადებითია.

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სპორტული ორგანიზაციების მართვას, სპორტის ეკონომიკას, ფინანსურ და მარკეტინგულ ანალიზს, სპორტული ღონისძიებების მენეჯმენტს, სპორტული ობიექტების ადმინისტრირებასა და კვლევითი უნარების განვითარებას. პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტი და თანამშრომლობა მრავალ სპორტულ ორგანიზაციასა და ფედერაციასთან კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ ორიენტაციას.

აკრედიტაციის რეკომენდაციის შესრულების შეფასება:

რეკომენდაცია — „პროგრამას თან ახლდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკები“ — შესრულებულია. აკრედიტაციის წინა ვიზიტის დროს ტექნიკური ხარვეზის გამო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკები წარმოდგენილი არ იყო. რეკომენდაციის გათვალისწინებით, პროგრამის დანართ N3-ში წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის სრული რუკა, ხოლო პროგრამის ძირითად დოკუმენტში — სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა. აღნიშნული რუკები ნათლად აჩვენებს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო კომპონენტების ურთიერთკავშირს და უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივი ლოგიკისა და შედეგების მიღწევის მექანიზმების გამჭვირვალობას. შესაბამისად, რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- o პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- o სასწავლო კურსების სილაბუსები;
- o ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესაბამისად. პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებასა და მონიტორინგს კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სისტემურობასა და უწყვეტობას.

სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე ირიბი შეფასების მეთოდები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში დეტალურად არის წარმოდგენილი შეფასების ფორმები, მეთოდები და თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნულები. შეფასების პირდაპირ მეთოდებად გამოიყენება შუალედური და დასკვნითი შეფასებები, პრეზენტაციები, პრაქტიკული დავალებები, კვლევითი პროექტები და სამაგისტრო ნაშრომი, ხოლო ირიბ მეთოდებად — სტუდენტთა თვითშეფასება, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ელექტრონული გამოკითხვები, ასევე ფოკუს-ჯგუფები.

რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმის შედეგების რუკას და მის კავშირს კურსების სწავლის შედეგებთან, აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების რუკა განახლებულია და ასახავს 9 სწავლის შედეგის კავშირს სავალდებულო სასწავლო კურსებთან, პრაქტიკის კომპონენტსა და სამაგისტრო ნაშრომთან. პროგრამის ძირითად დოკუმენტში წარმოდგენილია სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რომელიც ეფუძნება „გაცნობა — გაღრმავება — განმტკიცება“ პრინციპს და აჩვენებს თითოეული სასწავლო კომპონენტის როლს სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში.

თუმცა, სწავლის შედეგების რუკის შეფასებისას გამოიკვეთა გარკვეული ლოგიკური ხარვეზები. კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომი არ არის დაკავშირებული პროგრამის მე-4 სწავლის შედეგთან, რომელიც ეხება სპორტის ინდუსტრიაში ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღებისას სამართლებრივი და ეთიკური ნორმების დაცვას. ინტერვიუების პროცესში უსდ-ის შესაბამისმა წარმომადგენლებმა აღნიშნული დაადასტურეს როგორც ტექნიკური ხარვეზი და განმარტეს, რომ სამაგისტრო ნაშრომი რეალურად სრულდება აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკური ნორმების დაცვით, შესაბამისად მისი კავშირი აღნიშნულ სწავლის შედეგთან ლოგიკურია და საჭიროებს რუკაში ასახვას.

ასევე გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ სწავლის შედეგთან მიმართებით „გაცნობა — გაღრმავება — განმტკიცება“ პრინციპი არ ასახავს თანმიმდევრულ აკადემიურ პროგრესიას. მაგალითად, პროგრამის მე-2 სწავლის შედეგი ერთ სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილია როგორც „განმტკიცება“, ხოლო შემდგომ კურსებში — „გაღრმავება“ და კვლავ „განმტკიცება“, რაც არღვევს სწავლის შედეგების განვითარების ლოგიკურ თანმიმდევრობას.

აკრედიტაციის რეკომენდაციის შესრულების შეფასება:

- რეკომენდებულია, სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა და პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა-სქემის ლოგიკურად დაკავშირება კურსის/კომპონენტის შესაბამის სასწავლო შედეგებთან;
- რეკომენდებულია, გადახედოთ სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკას და ლოგიკურად გადმოსცეთ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესი.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამამ გაითვალისწინა აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები და განაახლა სწავლის შედეგების რუკა, გამოვლენილი ხარვეზები მიუთითებს, რომ რეკომენდაციები ნაწილობრივ შესრულებულია. შედეგად, რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის დამატებითი გადახედვა და გაუმჯობესება როგორც სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართების სიზუსტის, ასევე „გაცნობა — გაღრმავება — განმტკიცება“ პრინციპის ლოგიკური და თანმიმდევრული გამოყენების თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- o პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- o სასწავლო კურსების სილაბუსები;
- o ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- o რეკომენდებულია, სწავლის შედეგების რუკის გადახედვა და გაუმჯობესება როგორც სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართების სიზუსტის, ასევე „გაცნობა — გაღრმავება — განმტკიცება“ პრინციპის ლოგიკური გამოყენების თვალსაზრისით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☒	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა შექმნილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის მოცულობა და სემესტრული განაწილება რეალისტურია და უზრუნველყოფს სტუდენტის აკადემიური დატვირთვის თანაბარ გადანაწილებას.

პროგრამის შინაარსი ლოგიკურად აერთიანებს მენეჯერულ, ეკონომიკურ, სამართლებრივ, მარკეტინგულ და სპორტის ინდუსტრიის სპეციფიკურ მიმართულებებს. სასწავლო კურსები ორიენტირებულია სპორტული ორგანიზაციების, სპორტული ღონისძიებებისა და სპორტული ობიექტების მართვაზე, რაც უზრუნველყოფს პროფესიული კომპეტენციების განვითარებას სპორტის ინდუსტრიაში საქმიანობისათვის.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ პროგრამა, გარდა საგანმანათლებლო კომპონენტისა, მოიცავს პრაქტიკულ და კვლევით ელემენტებს. სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტი სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას პროფესიული გამოცდილება მიიღონ სპორტულ ორგანიზაციებში, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი უზრუნველყოფს კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებას. აღნიშნული კომპონენტები შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურის სპეციფიკას და ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

ასევე პოზიტიურია, რომ პროგრამის შინაარსი დაფუძნებულია სპორტის ინდუსტრიისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, ითვალისწინებს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებსა და საერთაშორისო გამოცდილებას.

პროგრამის ძირითადი კომპონენტების ანალიზიდან იკვეთება, რომ პროგრამაში ჯერ მოცემულია კურსი „სპორტული ობიექტების სტრატეგიული მენეჯმენტი“, ხოლო შემდეგ, მე-3 სემესტრში ვხვდებით კურსს — „თანამედროვე სპორტის მენეჯმენტი“. ეს ნაწილობრივ არღვევს ლოგიკურ აკადემიურ პროგრესიას, რადგან სპორტის მენეჯმენტის დარგობრივი სპეციფიკის გააზრება წინ უნდა უსწრებდეს მის სტრატეგიულ მართვას. სამაგისტრო პროგრამაში სასწავლო კურსების თანმიმდევრობა უნდა ასახავდეს საბაზისო დარგობრივი ცოდნიდან — კონკრეტული მიმართულების სტრატეგიულ ანალიზამდე გადასვლას.

რჩევა. სასურველია პროგრამამ გადახედოს სასწავლო კურსების თანმიმდევრობას, რათა უფრო მკაფიოდ აისახოს აკადემიური პროგრესის ლოგიკა — ზოგადიდან სპეციალიზებული და შემდეგ სტრატეგიული კომპეტენციების განვითარების მიმართულებით. კერძოდ, მიზანშეწონილია კურსი „თანამედროვე სპორტის მენეჯმენტი“ წინ უსწრებდეს კურსს „სპორტული ობიექტების სტრატეგიული მენეჯმენტი“, რადგან სპორტის მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციებისა და დარგობრივი სპეციფიკის გააზრება წარმოადგენს საფუძველს სპორტული ორგანიზაციებისა და ობიექტების სტრატეგიული მართვის საკითხების სიღრმისეული შესწავლისათვის.

ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით, სტუდენტს, რომელსაც ენიჭება „სპორტის მენეჯმენტის მაგისტრის“ კვალიფიკაცია, აქვს ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა ბიზნესის სფეროში, თუმცა პროგრამა ამ მიმართულებით სრულად ვერ უზრუნველყოფს სპეციალიზებული მენეჯერული კომპეტენციების განვითარებას. პროგრამის არჩევითი კომპონენტის ანალიზი აჩვენებს, რომ სტუდენტს შეზღუდულად ეძლევა შესაძლებლობა გაიღრმავოს ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე და ფუნქციურ მიმართულებებში. არჩევითი კურსების უმეტესობა ორიენტირებულია სპორტის სოციალურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ასპექტებზე, ხოლო შედარებით ნაკლებად ფარავს ბიზნესის სფეროს მენეჯერულ, ანალიტიკურ, ციფრულ, ფინანსურ და ოპერაციულ დაკავშირებულ მნიშვნელოვან მიმართულებებს.

რჩევა. სასურველია, გაფართოვდეს პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი და მეტად იყოს ორიენტირებული ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე ფუნქციურ და პრაქტიკულ მიმართულებებზე, რათა სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა სპორტის მენეჯმენტის სფეროში მოთხოვნად მენეჯერულ, ფინანსურ, ოპერაციულ და ანალიტიკურ კომპეტენციებში.

საერთო შეფასებით, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ძირითადად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების ბალანსს, თუმცა საჭიროებს გარკვეული სტრუქტურული და შინაარსობრივი საკითხების დამატებით დაზუსტებასა და თანამედროვე მიმართულებებით გაძლიერებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამამ გადახედოს სასწავლო კურსების თანმიმდევრობას, რათა უფრო მკაფიოდ აისახოს აკადემიური პროგრესის ლოგიკა — ზოგადიდან სპეციალიზებული და შემდეგ სტრატეგიული კომპეტენციების განვითარების მიმართულებით. კერძოდ, მიზანშეწონილია კურსი „თანამედროვე სპორტის მენეჯმენტი“ წინ უსწრებდეს კურსს „სპორტული ობიექტების სტრატეგიული მენეჯმენტი“, რადგან სპორტის მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციებისა და დარგობრივი სპეციფიკის გააზრება წარმოადგენს საფუძველს სპორტული ორგანიზაციებისა და ობიექტების სტრატეგიული მართვის საკითხების სიღრმისეული შესწავლისათვის.

- o სასურველია, გაფართოვდეს პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი და მეტად იყოს ორიენტირებული ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე ფუნქციურ და პრაქტიკულ მიმართულებებზე, რათა სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა სპორტის მენეჯმენტის სფეროში მოთხოვნად მენეჯერულ, ფინანსურ, ოპერაციულ და ანალიტიკურ კომპეტენციებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო კურსების შინაარსი, თემატიკა და კრედიტების მოცულობა ძირითადად უზრუნველყოფს შესაბამისი კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კურსები ლოგიკურად არის აგებული და მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას განივითარონ სპორტის მენეჯმენტის სფეროსათვის აუცილებელი ანალიტიკური, მენეჯერული და კვლევითი უნარები.

აკრედიტაციის რეკომენდაციის შესრულების შეფასება:

- რეკომენდებულია კონკრეტული კურსების სავალდებულო ლიტერატურის განახლება (მაგ., სპორტული ობიექტების სტრატეგიული მართვა, სპორტული ღონისძიებების სტრატეგიული მართვა, სპორტის სტრატეგიული მარკეტინგი);
- რეკომენდებულია, კონკრეტული სასწავლო კურსების სახელებისა და შინაარსის ერთმანეთთან მისადაგება (მაგ. სპორტის სტრატეგიული მარკეტინგი, მენეჯერული ეკონომიკა სპორტში);
- რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსის დიფერენცირება საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსისგან. ასევე, „თანამედროვე სპორტის მენეჯმენტის“ სილაბუსის გამოყოფა საბაკალავრო პროგრამის „სპორტის მენეჯმენტის“ კურსის სილაბუსისგან;

- განაახლეთ მაგისტრატურის პრაქტიკის სილაბუსი და მოიცვანეთ მაგისტრატურის დონესთან შესაბამისობაში.

საანგარიშგებო პერიოდში განახლდა პროგრამის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა. განახლდა სასწავლო კურსების „სპორტული ობიექტების სტრატეგიული მართვა“, „სპორტული ღონისძიებების სტრატეგიული მენეჯმენტი“ და „სპორტის სტრატეგიული მარკეტინგი“ სავალდებულო ლიტერატურა, პროგრამებში ინტეგრირებულია უახლესი საერთაშორისო გამოცემები და თანამედროვე ინგლისურენოვანი აკადემიური რესურსები. აღნიშნული ცვლილებები ასახულია განახლებულ სილაბუსებში. რეკომენდაცია შესრულებულია - რეკომენდებულია კონკრეტული კურსების სავალდებულო ლიტერატურის განახლება (მაგ., სპორტული ობიექტების სტრატეგიული მართვა).

რაც შეეხება კონკრეტული სასწავლო კურსების სახელებისა და შინაარსის ერთმანეთთან მისადაგებას, ამ თვალსაზრისით გადაიხედა კონკრეტული სასწავლო კურსების სახელწოდებები და შინაარსობრივი კომპონენტები, უზრუნველყოფილ იქნა მათი შესაბამისობა და სასწავლო კურსებში მკაფიოდ აისახა სპორტის სფეროს/დარგის სპეციფიკა. განახლებული სილაბუსები მეტად არის ორიენტირებული სპორტის ინდუსტრიის პრაქტიკულ და სტრატეგიულ ასპექტებზე, რაც უზრუნველყოფს კურსების სახელწოდებებისა და შინაარსის თანხვედრას. შესაბამისი რეკომენდაცია შესრულებულია.

სამაგისტრო პროგრამის სრულყოფის ფარგლებში კურსების შინაარსობრივი ნაწილი მკაფიოდ გაიმიჯნა საბაკალავრო საფეხურის პროგრამებისგან. განახლებული სასწავლო კურსები და სილაბუსები ორიენტირებულია მაღალი აკადემიური და პროფესიული კომპეტენციების განვითარებაზე, კვლევით, ანალიტიკურ და სტრატეგიულ უნარებზე, რაც შეესაბამება სამაგისტრო სწავლების დონესა და სპეციფიკას. განხორციელდა სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსის დიფერენცირება საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსისგან, რაც უზრუნველყოფს სწავლების საფეხურებს შორის შინაარსობრივ და კომპეტენციურ განსხვავებას. ასევე, ცალკე გამოიკვეთა და განახლდა „თანამედროვე სპორტის მენეჯმენტის“ სილაბუსი, რომელიც შინაარსობრივად და მიზნობრივი სწავლის შედეგების მიხედვით გამოიჯნულია საბაკალავრო პროგრამის „სპორტის მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის სილაბუსისგან. აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.

რაც შეეხება პრაქტიკის კომპონენტს, განახლდა მაგისტრატურის პრაქტიკის სილაბუსი და იგი სრულ შესაბამისობაში მოვიდა სამაგისტრო სწავლების დონესთან. სილაბუსში გაძლიერებულია კვლევითი, ანალიტიკური, სტრატეგიული და მენეჯერული კომპონენტები; პრაქტიკის შედეგები ორიენტირებულია ინოვაციური მიდგომების გამოყენებაზე, პრობლემების ანალიზსა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების შემუშავებაზე. ასევე, პრაქტიკული საქმიანობა მოიცავს ორგანიზაციული პროცესების შეფასებას, მარკეტინგული და ფინანსური ანალიზის განხორციელებას, ადამიანური რესურსების მართვასა და პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვას, რაც სრულად შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

